

იგივე, მაგრამ უკეთესი

თინას გაუჩინარება უნდოდა, მაგრამ არა - სამუდამოდ. სამუდამოდ გაუჩინარება რომ ნდომოდა, წყვილიაღმი უყოყმანოდ ჩაიძირებოდა, მაგრამ უფსკრულის თავზე მოქანავეს გადაჩეხვის უფლებას რაღაც არ აძლევდა. შეიძლება, ეს რაღაც ოჯახთან, მეგობრებთან და სამსახურთან უსადენო კავშირი იყო. ხანდახან ეგონა, რომ სინამდვილეში ძალიან სქელი და ხმარებიდან ამოღებული უხილავი სადენებით უერთდებოდა სამყაროს, რომელშიც ბედნიერი უნდა ყოფილიყო.

ისიც იცოდა, რომ უბრალოდ გაუჩინარება საკმარისი არ იქნებოდა. დაქანცულს თვალები სხვებისგან შეუმჩნევლად უნდა დაეხუჭა ისე, რომ არავის არაფერი ექჭა - თვალგახელილი ძილი გონებისა. თინას პატარ-პატარა გაუჩინარებების შესახებ ვინმეს რომ გაეგო, უეჭველად შეცვლიდნენ უკეთესი მეუღლით, დედითა და თანამშრომლით, რადგან ამ სამყაროში ერთდერთი და განუმეორებელი არ არსებობდა: ყველანი ქარხნული წარმოებისა იყვნენ: ზოგი უკეთესი, ზოგი უარესი, მაგრამ არავინ - შეუცვლელი.

ღამის ის ნაწილი, რომელიც სოციალურ ქსელებში მეგობრების ისტორიებს, ორი ბავშვის კვილსა და ქმრის პროგნოზირებად სიურპრიზებს გამოსტაცა, ფიქრში გაატარა. დილას უკვე იცოდა, რომ ხელოვნურ ინტელექტს გონების ნაწილს კი არა, სულსაც მთლიანად დაუთმოდა, ოღონდ ცოტა ხნით გაუჩინარება შესძლებოდა.

თინა ზუსტად იქ იჯდა, საიდანაც მაშინვე გამოიქცა, როგორც კი ოლინმა ტვინის ხელოვნურ ინტელექტთან შერწყმაზე დაუწყო ლაპარაკი. ახლა წინა დღის შიშები სასაცილოდაც კი არ ჰყოფნიდა. გაბოროტებული ხელოვნური ინტელექტი? ნეტავ, რა მნიშვნელობა ჰქონდა? ახლა კი განა საკუთარ ცხოვრებას მართავდა? ზედმეტად გამბედავი ფიქრები ხომ არ იყო იმ ქალისთვის, რომელიც ყოველ დამე გაქცევაზე ფიქრობდა?

- გული მიგრძნობდა, რომ დაბრუნდებოდი.

თინას ჩაეცინა. სხვაგან სად წავიდოდა? ყველა გზა ამ წყეული კომპანიის უბერებელი თანამშრომლებისკენ მოდიოდა.

ოლინი თინას პირდაპირ მოწულ სკამზე იჯდა. სკამი ხისას ჰგავდა, მაგრამ თინას არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ასეთ იშვიათ მასალას ვინმე ავეჯის დასამზადებლად ხარჯავდა.

მამაკაცი თინას ინტერესს ათწლეულების განმავლობაში მისი სახის კანივით უცვლელი ენთუზიაზმით უთვალთვალავდა. გაურკვეველი ასაკის ოლინის სპილოსძვლისფერი ტანსაცმელი კარგად განათებულ ოთახსა და თინას ბუნდოვან მომავალს ჰარმონიულად ერწყმოდა.

თინამ დაბალი გამჭვირვალე მაგიდიდან მინის ფირფიტა აიღო და ვერცხლისფერი მოწყობილობა კიდევ ერთხელ შეათვალიერა. იმ პირველი „ლინკისგან“ განსხვავებით, რომელიც ტვინში წლების წინ ჩაუდგეს, ეს იმპლანტი უფრო პატარა და თხელი იყო - ცერა თითის ფრჩხილზე მარტივად ეტეოდა. თითის ბალიშები იმპლანტის „კუდს“ ფრთხილად გადაატარა; უწვრილესი ნერვული „ძაფების“ დათვლა შეუძლებელი იყო. მალე ელექტროდები ტვინის ყველაზე ღრმა და მტვრიან ნაწილებში ჩაიკარგებოდნენ, ინფორმაციას გამოსწურავდნენ და ხელოვნურ ინტელექტს გადასცემდნენ.

- ანუ, ეს გონებით ინტერნეტში ძრომიალისა და სახლის მართვაზე მეტს აკეთებს?

ტრაბახის შესაძლებლობით კმაყოფილმა ოლინმა გაიღიმა. თინას ფირფიტა ფრთხილად გამოართვა და იმპლანტი თხელ თითებს შორის მოიქცია.

- ეს ძველი და კარგად გათელილი მოდელი ნუ გგონია; ეს ჩვენი მომავალია - ანიმა-44.

- და ეს ჩემს პრობლემას მოაგვარებს... როგორ? - თითქოს პასუხის მეთასვედ მოსმენა რამეს შეცვლიდა.

- როგორც უკვე რამდენჯერმე აგიხსენი, - ხაზგასმული თავაზიანობით წამოიწყო ოლინმა, - იმპლანტი ჭკვიან საათში აპლიკაციას ბლუთუზით უკავშირდება. შენ მიერ შერჩეულ ქმედებებს შენი სხეულითა და გონებით ხელოვნური ინტელექტი შეასრულებს.

თინას მხოლოდ ნაწილობრივ ხელუხლებელ ტვინში მტკიცედ მიღებული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ შეირყა. ცოტა ხანს ჩუმად იჯდა.

- ეგ როგორ?

ოლინმა იმ მტაცებელივით ჩაიციხა, რომელიც აღარ ჩქარობს, რადგან მსხვერპლი უკვე დაგულებული ჰყავს.

- სისტემა იგივეა. იმპლანტის ელექტროდები ტვინის ელექტრონულ სიგნალს აღიქვამენ და ანიმას მისთვის გასაგებ „ენაზე“ გადასცემენ, თუმცა, რადგანაც შენ მიერ არჩეულ ქმედებებზე პასუხისმგებელი ხელოვნური ინტელექტი იქნება, ეს პროცესი ცოტა განსხვავებულია.

- რამდენად განსხვავებული? - გადაწყვეტილება თანდათანობით თავის ადგილს უბრუნდებოდა. იცოდა, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა.

- ხელოვნური ინტელექტი შენგან განმეორებითი ხასიათის ქმედებების დროს ტვინში წარმოქმნილ იმპულსებს სწავლობს, შედეგად კი შეუძლია, იმავე ან მსგავს სიტუაციებში ამ იმპულსებით იხელმძღვანელოს და ზუსტად ისე მოიქცეს, როგორც შენ მოიქცეოდი. განმეორებითი სიტუაციების მცირეოდენ ცვლილებებს ადეკვატურად პასუხობს. ამ

დროსაც მთლიანად შენი ტვინის იმპულსებზეა დამოკიდებული, რომლებიც მუშაობას მაშინაც არ წყვეტენ, როცა გძინავს. მდგომარეობის რადიკალური ცვლილების შემთხვევაში, გაგაღვიძებს.

- გამაღვიძებს?!

- ჩანაცვლება ძილს ჰგავს, მაგრამ, ჩვეულებრივი ძილისგან განსხვავებით, ყველა სიზმარი, რომელსაც ხედავ, რეალობაა. შენ ისევ შენ იქნები - იგივე თინა, მაგრამ უკეთესი.

სიჩუმემ კიდევ უფრო დიდხანს გასტანა. თინამ ინსტრუქცია მთლიანად ზეპირად იცოდა. ლაპარაკით უბრალოდ დრო გაჰყავდა, რათა მთავარ კითხვას გაეცეოდა, მაგრამ დუმილმა ჩიხში მიიმწყვდია.

- უფასო რატომაა?

ოლინმა გაიღიმა. ცოტა ხნით სადღაც შორს, თინას მიღმა იყურებოდა, მაგრამ მალევე დაბრუნდა.

- შენ როგორ ფიქრობ?

- რამდენადაც ვიცი, ხელოვნური ინტელექტისთვის სხეულისა და გონების მიბარება ჯერ-ჯერობით დამკვიდრებული პრაქტიკა არაა. - ჩაიბუტბუტა.

ოლინმა თავი მოწონებით დაუქნია.

- გაეცევის ფასი არ გესწავლება.

ხელშეკრულებაში უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პირობებს თვალი გულგრილად გადაავლო; თინას ნახევრად მეტალის ტვინში აღარაფერი იყო, რაც მხოლოდ მას ეკუთვნოდა.

**

ოპერაციის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში თინას რუტინაში სიახლე გაჩნდა: დღის ყველაზე საზარელი მონაკვეთების დაწყებამდე, ოლინისგან მიღებულ ჭკვიან საათზე ანიმას აპლიკაციას რთავდა და სწავლის რეჟიმს ააქტიურებდა. თინა გრძნობდა, როგორ უთვალთვალებდა საკუთარი სხეულიდან უცხო და უსულო არსება. გრძნობდა მზერას, რომელიც ფრთხილად სწავლობდა კრეატიული სააგენტოს ერთფეროვნებას; ისმენდა ერთსა და იმავე თემაზე თინას მეგობრების სხვადასხვა ჩივილებს; უყურებდა შვილების უცნაურ ნახატებსა და არაფერს ამბობდა თინას ყალბ ქებაზე; აკვირდებოდა ქმრის მოუქნელი სხეულის მოზომილსა და უცვლელ მოძრაობას, შემდეგ კი თინას რეაქციას, რომელსაც ქალი ძილში კლავდა.

როგორც სხვა ყველაფერს, ამ გრძნობასაც მალე შეეჩვია. სწავლის რეჟიმს სულ უფრო ხშირად და ხანგრძლივად რთავდა. უცნაური იყო, მაგრამ იმპლანტის ჩადგმის შემდეგ დანაშაულის გრძნობაც იშვიათად აწუხებდა, რადგან არსებობდა რაღაც, რაც თინას ცხოვრებას თინასივე თვალეებით უყურებდა და, ალბათ, გაუჩინარების აუცილებლობასაც ხელავდა. ასეთ მომენტებში გაუჩინარების სურვილი ისეთი მწველი და ყოვლისმომცველი აღარ იყო, რადგან რაღაცას, უფრო სწორად, ვიდაცას თინასი ესმოდა.

ეს სასიამოვნო ფიქრები ოპერაციიდან მეთხუთმეტე დღეს დაეფანტა, როდესაც აპლიკაციის ჩართვისას შეტყობინება წაიკითხა: ანიმა ჩანაცვლების პროცედურის დასაწყებად მზად იყო.

იმ დღე აპლიკაცია არ ჩართო. სამყაროს ბოლო შანსი მისცა.

დილა ისევ ბავშვების კინკლაობით დაიწყო. საუზმობისას უფროსმა უმცროსს თმაზე ჯემი წაუსვა. ქმარი ბავშვებს უყურებდა, მაგრამ ვერ ხელავდა. თინამ მის თვალეებში ნაცნობი სიცარიელე დაინახა; ქმრის გონება ინტერნეტსივრცეში დაქროდა და ახალ ამბებს ეცნობოდა. როგორც კი უფროსი შვილის დატუქსვა დაიწყო, ოთახში მუსიკა ჩაირთო. თინამ თვალეებდაცარიელეებულ გოგონას მაჯაზე ხელი მოუჭირა.

- გამორთე. ახლავე.

გოგონამ თვალეები დაახამხამა. მუსიკა გამოირთო.

სამსახურში წავიდა. კრეატიულ სააგენტოში ახალი და საინტერესო არაფერი ხდებოდა. თანამშრომლებთან ერთად საღამომდე თვალეებგაფართოებული მუშაობდა. ბოლოს გონებაში სახლისთვის საჭმელიც შეუკვეთა და წამოვიდა.

სახლში მისვლამდე მეგობრებს შეხვდა. ცოტა ხანი ილაპარაკეს, მაგრამ დროის უმეტესი ნაწილი თვალეებგაყინული ისხდნენ და გონებაში სოციალურ ქსელებში დაძვრებოდნენ. სამსახურში მომხდარი პატარა სასაცილო ინციდენტი ახსენა, მაგრამ მიხვდა, რომ არავინ უსმენდა. ბევრი ფოტო გადაიღეს.

სახლში არავინ იყო. შუქები ერთი გაფიქრებით ანთო. სავარძელში ჩაჯდა და სახე ხელეებში ჩარგო. გადაწყვიტა.

ეშინოდა, რომ ქმარი რამეს მიხვდებოდა, მაგრამ არც იმდენად, მისი ერთფეროვანი ალერსისთვის კიდევ ერთი საღამო რომ გაეძლო. აპლიკაცია გახსნა და დაწყების დილაკს დააჭირა.

თავიდან ვერაფერი იგრძნო. ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ საწოლზე ჩამოჯდა. უფრო რბილი მოეჩვენა, ვიდრე მანამდე. როცა მხრებამდე სიმსუბუქეში ჩაიძირა, მიხვდა, რომ

ეძინა. სიზმარში საკუთარ თავსა და ქმარს გარედან უყურებდა. საკუთარ მოძრაობას გრძნობდა, ხმაც ესმოდა. იცოდა სად და რატომ იყო, მაგრამ ამ უცნაური სპექტაკლის მსახიობი კი არა, სცენარის ავტორი ან რეჟისორი გახლდათ და თვეების განმავლობაში მიმდინარე რეპეტიციების შედეგს სცენის მიღმიდან აფასებდა. ეს სპექტაკლი ძველ ტელევიზორში გადიოდა, რომლის ჩართვა-გამორთვაც ნებისმიერ დროს შეეძლო. თინამ გამორთვა აირჩია. თინა გაუჩინარდა.

ქმარმა დილით შუბლზე აკოცა. თინას ეს ჟესტი ეუცნაურა.

- რამე მოხდა?

- არაფერი. - ქმარი გაწითლდა და თვალი აარიდა. ყოველთვის ასე იქცეოდა, როცა ტყუოდა.

დღეები, კვირები, თვეები გავიდა. თინას გაუჩინარებების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. რაც არ უნდა გასაკვირი ყოფილიყო, ახალი, დასვენებული თინა ყველას უფრო მეტად მოსწონდა, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ფიქრობდა. ბავშვების გაშველება, მოსაწყენი ქმარი, მეგობრებთან სავალდებულო შეხვედრები და ბანალური რეკლამების მოფიქრება - ყველაფერი თავის ადგილას იყო, მაგრამ თინასგან ძალიან შორს. ყოველი დღე, დიალოგი და შეხება ახსოვდა, მაგრამ ამ გულისგამაწვრილებელი რუტინისგან, რომელიც სასიცოცხლო ძალებს წოვდა, გამოერთებულიყო. გაუჩინარებულ თინას საკუთარი ყოველდღიური დარღები ვეღარ პოულობდნენ.

გამოღვიძება წყლიდან ამოყვინთვას ჰგავდა. შუალამე იყო. თინა ცახცახებდა. სცადა, ბოლო გაუჩინარების დეტალები გაეხსენებინა, მაგრამ უშედეგოდ. ქალის გონებიდან სადამოს მოგონებები აორთქლებულიყო.

აპლიკაცია შეამოწმა. ანიმას უცნაური არაფერი დაეფიქსირებინა. ოლინს დაურეკა.

- ჩვეულებრივი გვერდითი მოვლენა. - დაამშვიდა კაცმა.

თინამ დილას ექსტრემალურ საშუალებას მიმართა - ქმარს დაელაპარაკა. უბრალოდ სიტყვები კი არ უთხრა, მართლა დაელაპარაკა.

- ჩვეულებრივად იქცეოდი, ზუსტად ისე, როგორც ბოლო ოთხი თვე.

- ბოლო ოთხი თვე განსხვავებულად ვიქცევი? - დაინტერესდა თინა.

- არა. - ქმარმა თვალი აარიდა. თინას ჟრუანტელმა დაუარა.

მეორე დღეს აღარ გაუჩინარებულა. აპლიკაცია საერთოდ არ ჩართო. დარწმუნებული იყო, რომ სწორად იქცეოდა, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ საწოლიდან ადგებოდა.

შვილები ჭურჭელს იატაკზე ყრიდნენ და დარბოდნენ, ქმარი გონებაში ისევ სტატიებს ფურცლავდა. ცოტა ხნით ხელებში თავჩარგული იჯდა, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაუძლო, ბავშვებს ხელი დაავლო და ორივე მაგრად შეანჯღრია.

- ახლავე გაჩერდით... ახლავე! - უიმედოდ დაიყვირა. გამოცდილებით იცოდა, რომ შვილებზე ყვირილი არ ჭრიდა.

ორივე გაჩუმდა. გოგოების თვალებში შიში, უნდობლობა და გაუცხოება ამოიკითხა, თითქოს, დედას კი არა, უცნობ ქალს შეჰყურებდნენ.

- რა იყო? - გაღიმება სცადა, - რატომ გაქვთ ეგეთი სახეები? - ხელებში უღონოდ ჩამოყარა.

ბავშვები მამასთან მიცვივდნენ. ქმარი გამოფხიზლდა და თინას გაოცებულმა შეხედა.

- თინა, ბავშვებს ასე უხეშად როდის მერე ექცევი?

უკეთესად არც სამსახურს ჩაუვლია.

- დღეს რაღაც ფორმაში ვერ ხარ. - უსაყვედურა ხელმძღვანელმა.

გაოგნებულმა თინამ ახლავა გაიგო, რომ ორი თვის წინ უფროსი მენეჯერის პოზიციაზე დაუნიშნავთ. როგორც აღმოჩნდა, გაორმაგებულ მოვალეობებს აქამდე თავს მშვენივრად ართმევდა. წინა თვეში პრემიაც კი აიღო. ამის შესახებ არაფერი იცოდა.

სამსახურის შემდეგ, ჩვეულებრივ, მეგობრების საყვარელ კაფეში წავიდა, მაგრამ იქ არავინ დახვდა.

- მაგ კაფეში სამი თვეა, აღარ დავდივართ. თინა, რა გჭირს? ჩვენს ახალ კაფეში გელოდებით. - უთხრა ერთ-ერთმა ტელეფონით.

კაფეში არ წავიდა. სახლში დაბრუნდა. ძიძა დაითხოვა. დედასთან მარტო დარჩენილი ბავშვები უჩვეულოდ დადუმდნენ.

- არ გინდათ, ტორტი შევუკვეთოთ? - სხვა თუ არაფერი, შვილები როგორ გაეხარებინა, ის მაინც იცოდა.

გოგონებს თვალებში სიანცის ნაპერწკლები გაუკრთათ.

-დე, შენ რომ გამოაცხო?

თინას გაეღიმა.

- მე რომ ტორტის გამოცხოვა არ ვიცი?

ბავშვების თვალეში ნაპერწკლები მაშინვე ჩაიფერფლა.

- დედა, ტორტს ყოველ კვირას აცხობ. - უფროსი დაეჭვებული ჩანდა.

გოგონების დაძინებამდე თავი ყოჩაღად ეჭირა, მაგრამ, როგორც კი საძინებლის კარი გამოიხურა, კედელს ძალაგამოცლილი მიეყრდნო და ჩაიკეცა.

ქმრის ალერსი მოსაწყენად აღარ მოსჩვენებია - პირიქით, თითქოს, ბურუსი, როგორც იქნა, იფანტებოდა.

- თინა, დღეს ვეღარ გცნობ. - გაჩახახებული ქალაქის ფონზე ქმრის პროფილი მუქად მოჩანდა, მაგრამ თინამ მის თვალეში ეჭვი მაინც დაინახა.

- რას გულისხმობ?

- თითქოს... სხვა ადამიანი ხარ. თითქოს, ჩემი თინა ვიღაცამ წაიყვანა.

ბურუსი მკერდში დაუგუბდა და ეგონა, ვეღარასდროს ამოისუნთქებდა.

პატარ-პატარა იმედგაცრუებები. აკვარიუმი, რომელიც ყოველდღე თითო წვეთით ივსება. თავიდან მას ყურადღების ღირსად არ თვლიდა და მხოლოდ მაშინ ფხიზლდებოდა, როცა აკვარიუმში ჰაერი აღარაა. თინას ეგონა, რომ გაუჩინარებით აკვარიუმს დაცლიდა და შუშის გალიაში დაბრუნებულს ჰაერის ახალი მარაგი დახვდებოდა. შეცდა.

თინამ იგრძნო, ვიღაცამ როგორ მოქაჩა იმ სამყაროსთან დამაკავშირებელ სადენებს, რომელშიც ბედნიერი იყო. ქმრისთვის ყველაფერი უნდა მოეყოლა. გადაწყვიტა.

- რაღაც ჩავიღინე... - თინამ სიბნელეში ქმარს ხელზე ხელი დაადო და ტირილი დაიწყო.

ქმარმა შუქი აანთო და თინას გაოცებული მიაჩერდა. თინამ ოპერაციაზე, იმპლანტზე, ანიმასა და გაუჩინარებებზე უამბო. გაუჩერებლად ტიროდა. ცხელი ცრემლები კანს უწვავდა და ლაპარაკში ხელს უშლიდა. მაინც ვერ ჩერდებოდა.

ისტორიის დასრულების შემდეგ თინამ ქმრისკენ გაიწია, მაგრამ კაცმა უკან დაიხია. თინამ ცრემლები მოიწმინდა და პატიების თხოვნა დააპირა, მაგრამ მოულოდნელად ხალიჩა უცნაურად დარბილდა. ხალიჩას თინას ჩათრევა უნდოდა. კიდურები დაუბუჟდა. ეს სასიამოვნო გრძნობა იცნო. ანიმას წართმეული მცირეხნიანი ცხოვრების დაბრუნება უნდოდა.

- ძვირფასო, მიშველე! - თინას პირიდან ამოსული ხმა სხვას ეკუთვნოდა.

თინამ მანამდე უხმო და უსულო არსების საშინელი ძალა იგრძნო. რაღაც ხმის ამოდების უფლებას არ აძლევდა, ყელში უჭერდა, დახრჩობას უპირებდა.

ქმარი წამში მის გვერდით გაჩნდა.

- რა ხდება? - მის თვალეში ეჭვის ნატამალიც აღარ იგრძნობოდა. თინა მიხვდა, რომ ეს ნდობა ვიღაც სხვას ეკუთვნოდა.

- ანიმას ჩემი გაუჩინარება უნდა! - დაიკვილა უცხო ხმამ. - სწრაფად, საათი მომხსენი და გაანადგურე!

ქმარმა საათი იატაკზე დააგდო. თინა ყოვლისმომცველ ძილს უძალიანდებოდა. ცდილობდა, საკუთარი სხეული და ხმა, საკუთარი ქმარი და ცხოვრება დაებრუნებინა, მაგრამ გრძნობდა, რომ უხილავ ბრძოლაში მარცხდებოდა.

თინას სისუსტეს შეჩვეული ანიმა წამით მოდუნდა. ქალმა ამით ისარგებლა, კიდურები შეიგრძნო, ქმარს მხრებში ჩააფრინდა და თვალეში ჩახედა.

- თინა მე ვარ... - ანიმასგან განსხვავებით, დაღლილი ხმა ჰქონდა. - შენც ხომ კარგად იცი?

- თინა არ ხარ.

მათი თვალეები ერთმანეთს შეხვდა. ქმარმა მზერა მოარიდა. ტყუოდა.

საათი დაიფშვნა.

თინა უსიზმრო ძილში ჩაიძირა. თინამ სხეული დაკარგა. სხეულზე უფრო მნიშვნელოვანიც დაკარგა. თინა სამუდამოდ გაუჩინარდა.